7 და 8 ივლისს გაიმართა სსრ კავშირის 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მე-14 ტურის შეხვედრები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

„ტორპედო“ (მოსკოვი) – „დინამო“ (თბილისი) 1:0 (0:0).

„ტორპედო“: სარიჩევი, პოლუკაროვი, კოვაჩი, პისარევი, როგოვსკოი, გრეჩნევი, ჟუკოვი, რუდაკოვი (ი. სავიცევი, 55), ნ. სავიჩევი(აგაშკოვი 62), შირინბეკოვი, გრიშინი.

„დინამო“: გაბელია, ცვეიბა, გ. ჯიშკარიანი (ტყებუჩავა, 75), ჭედია, არზიანი, რევიშვილი (მესხი, 80), სვანაძე, სულაქველიძე, ცაავა, გურული, კორღალიძე.

მსაჯი მ. სტუპარი (ივანო-ფრანკოვსკი).

გააფრთხილეს ცვეიბა, ჟუკოვი.

დუბლიორები - 2:2. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს ფარცხალავამ და ფანცულაიამ.

თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შეხვედრათა მრავალწლიან პრაქტიკაში, იქნება ეს საკავშირო ჩემპიონატი, თუ თასის გათამაშება, ბევრი ღირსსახსოვარი მატჩი გვინახავს თბილისშიც და მოსკოვშიც. ამ ორი გუნდის შემადგენლობაში მუდამ გამოდიოდნენ სახელგანთქმული ფეხბურთელები, ნამდვილი ვირტუოზები, რომელთა მაღალი ოსტატობა ყოველთვის ამშვენებდა ამ ორი გუნდის ტრადიციულ დაძაბულ ბრძოლას. ახლა სულ სხვა საქმეა. არც „დინამო“, არც „ტორპედო“ ის აღარ არიან, რაც იყვნენ. მართალია, ტორპედოელებს საკმაოდ მაღალი ადგილი უჭირავთ საკავშირო ჩემპიონატის ცხრილში, ამ მხრივ გუნდს კარგად აქვს საქმე, მაგრამ ადრინდელი უმაღლესი კლასის ოსტატებს მის რიგებში ვეღარ ნახავთ. სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე გამოდიოდა, ტორპედოელთა არც ერთი წარმომადგენელი არ თამაშობდა. ეს კი იშვიათი მოვლენაა ამ გუნდის ისტორიაში. უკვე ეს ფაქტი თავისთავად ნიშნავს „ტორპედოს“ კლასის გარკვეულ დევალვაციას.

რაც შეეხება თბილისის „დინამოს“, მისი დღევანდელი მდგომარეობა კარგად მოგეხსენებათ. თითო-ოროლა ფეხბურთელის დამაკმაყოფილებელ კლასს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, გუნდის უმეტესობა საშუალო დონის მოთამაშეებითა დაკომპლექტებული, ხოლო, რაც შეეხება სატურნირო მდგომარეობას, აქ აშკარად, საგანგაშოდ გვაქვს საქმე.

და აი, ასეთ ვითარებაში მეტოქეებმა შეუპოვარ, თავგამოდებულ ბრძოლას ბურთი უწყინარი, მშვიდი და დინჯი გათამაშება არჩიეს. მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ორიოდე სახიფათო მომენტი თუ შეიქმნა. ორივე გუნდი შუა მინდორზე მოქმედებდა მოკლე გადაცემებით. გართულებებს თავს არიდებდნენ სტუმრებიც და მასპინძლებიც. მეკარეებს თითქმის არა ჰქონდათ საქმე, ყველაფერი კეთდებოდა

ნელა, აუჩქარებლად, უამრავი შეცდომით. მცირერიცხოვანი მაყურებელი (3.900 კაცი) მოწყენით უცქერდა უინტერესო თამაშს.

საგრძნობლად გამოცოცხლდა თამაში შესვენების შემდეგ. ინიციატივა ტორპედოელებმა აიღეს ხელთ. გააქტიურდნენ თბილისელებიც. ბრძოლა გამწვავდა. მოსკოველთა შეტევებს სათავეში ჩაუდგა ი. სავიჩევი და თუმცა ადვილი შესამჩნევი იყო, რომ დინამოელები ქულის ასაღებად იყვნენ განწყობილი, მათაც რამდენიმე სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს. 21-ე წუთზე გაბელიამ უძნელესი ბურთი მოიგერია პისარევისგან. მალე რევიშვილმა კარს ააცილა დარტყმა.

მიმდინარეობდა თამაშის 79-ე წუთი. ტორპედოელთა ერთ-ერთი შეტევის დროს ი. სავიჩევმა დაახლოებით 20-22 მეტრიდან ძლიერად დაარტყა, გაბელიამ ვერ შეძლო ძნელი ბურთის მოგერიება და იგი მაღალ კუთხეში გავიდა კარში - 1:0.

დარჩენილ ათიოდე წუთში თბილისელებმა რამდენიმე შეტევა განახორციელეს, მაგრამ სარიჩევის კარი აუღებელი დარჩა. თბილისის „დინამომ“ მიმდინარე ჩემპიონატში მორიგი, მეცხრე მარცხი განიცადა.

თბილისელებს ახლა მეტად საპასუხისმგებლო მატჩი მოელით 10 ივლისს. ისინი ალმა-ათაში შეხვდებიან „კაირატს“. მატჩის შედეგს დიდი მნიშვნელობა აქვს უმაღლესი ლიგის აუტსაიდერთათვის.

ლელო 9.07.1988